



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კონსტანტინე პატრიკოსის მისია ტაო-კლარჯეთში

კონსტანტინე პატრიკოსის მისია ტაო-კლარჯეთში, ბიზანტიის იმპერატორის, რომანოზ ლაკაპინის (920–944) მიერ ტაო-კლარჯეთში გამოგზავნილი სპეციალური ელჩობა, რ-საც გახმაურებული დიპლომატიური სკანდალი მოჰყვა; 923 ახლო ხანებში, ადარნასე „ქართულთა“ მეფისა და კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, აშოტ პატრიკოსმა (მეტსახელად „კისკასი“), თავის სიძესთან – გურგენტან მტრობის ნიადაგზე, არტანუჯის ციხის ბიზანტიის იმპერატორისათვის გადაცემა გადაწყვიტა. იმპერატორმა მოიწონა აშოტ კისკასის ეს გადაწყვეტილება და მისი ასრულების მიზნით სათანადო განკარგულებაც გადასცა თავის დიპლომატ. წარმომადგენელს – კონსტანტინე პატრიკოსს. მან ზუსტად შეასრულა იმპერატორის განკარგულება და არტანუჯის ციხეზე დროშა ააფრიალა. ამ აქტმა ბაგრატიონთა სახლის სხვა წარმომადგენლების – გურგენ და დავით მაგისტროსების მძაფრი პროტესტი გამოიწვია. მათ იმპერატორისაგან არტანუჯის დაუყოვნებლივ დათმობა მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტანტინოპოლისაგან სრული განდგომითა და სარკინოების მხარეზე გადასვლით იმუქრებოდნენ. იმპერატორმა მათი სარკინოებზე მიკედლების შიშით უარყო განკარგულება და ყველაფერი დიპლ. მისიის ხელმძღვანელის „უჭკობას“ გადააბრალა. მან ქართველ ბაგრატიონთა დასამშვიდებლად კონსტანტინე პატრიკოსს „ლანძღვა-გინებისა და მუქარის შემცველი“ ბრძანებაც კი გაუგზავნა და დაუყოვნებლივ გაიწვია საქართველოდან.

ლიტ.: კოპალიანი ვ., საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში, თბ., 1969; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, ტ. 1, თბ., 1997; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).